89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №13 (7066) 1 ივლისი 2022 წელი • Facebook გაზეთი თერჯოლა

ფესტივალი „თეატრალური იმერეთი“—2022

მორიგი საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი“ 16 ივნისს დაიწყო.

ქუთაისის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ თეატრში ფესტივალის ფარგლებში პირველი წარმოდგენა ზესტაფონის, უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრმა გამართა.

„ვულოცავ იმერეთს მე-13 თეატრალური ფესტივალის დაწყებას, ფესტივალის, რომელიც დიდი ხანია გასცდა, როგორც იმერეთს

ასევე, საქართველოს ფარგლებს და შეიძინა საერთაშორისო მასშტაბები. წელს ფესტივალი განსხვავებული ფორმატით ტარდება. თეატრები სპექტაკლებს თავიანთ მუნიციპალიტეტებში წარმოადგენენ, ამ ნაბიჯით ვცდილობთ, კიდევ უფრო

გავაცოცხლოთ თეატრალური ცხოვრება მუნიციპალიტეტებში“—განაცხადა ფესტივალის გახსნაზე იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ.

ფესტივალის ფარგლებში მოქმედი პროფესიული თუ სახალხო თეატრების მიერ წარმოდგენილი იყო 17 სპექტაკლი.

ფესტივალის დახურვის ღონისძიება ქუთაისის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ თეატრში 1 ივლისს გაიმართა.

სპექტაკლები შეაფასა პროფესიულმა ჟიურიმ, ფესტივალის სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ფესტივალზე რეგიონის თეატრალური დასების მიერ წარმოდგენილი განსხვავებული ჟანრისა და შინაარსის სპექტაკლების გარდა, მაყურებელმა ნახა ყაზახეთის თეატრისა და თბილისის ახალგაზრდული თეატრის წარმოდგენები.

ფესტივალზე დასწრება თავისუფალი იყო.

საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ჟიურისა და მაყურებლის წინაშე თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი წარსდგა 28 ივნისს.

დენის კელის პიესაზე, „ობლები“, რეჟისორი მამუკა ცერცვაძე სახალხო თეატრის დასთან ერთად მუშაობდა. სპექტაკლი გვიყვება ამბავს, როგორ შობს ძალადობა - ძალადობას. კედელი, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ სეგმენტებს შორის არის აღმართული, ხშირ შემთხვევაში რეალობას მალავს და ყოფიერება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტურად ყველა ინდივიდზე თანაბრად მოქმედებს.



წარმოდგენას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, ასევე მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, ქუთაისელი თეატრალები და თერჯოლელთა ბევრი გულშემატკივარი ესწრებოდა, ფესტივალის ფარგლებში, სპექტაკლებს პროფესიული ჟიური შეაფასებს და ფესტივალის ბოლოს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გამოვლინდებიან.

შედეგების შეჯამება და ნომინანტთა დასახელება ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღეს დაემთხვა.

ფესტივალის შედეგებზე დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი

7 ივლისი—იოანე ნათლისმცემლის შობა
12 ივლისი—პეტრე-პავლობა
13 ივლისი—სვეტიცხოვლობა

გილოცავთ!

უპრეცედენტო პროექტი...

მაღალი ხარისხის ჯანდაცვაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით და პაციენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ დაიწყო უპრეცედენტო პროექტი—**„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“** სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებების შედეგად, ყველა პაციენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატს უფასოდ მიიღებს.

ბენეფიციარების უმეტესობისთვის, დაავადების მედიკამენტური მკურნალობა, მაღალი ფასის გამო მიუწვდომელი იყო. სპინალურ - კუნთოვანი ატროფიის სამკურნალო პრეპარატის ერთი ფლაკონის ღირებულება 7485 დოლარია, რაც 12 დღის დოზას შეადგენს.

მედიკამენტის გამოყენება ხელს უწყობს სპინალური კუნთოვანი ატროფიის მქონე პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას.

მედიკამენტის გაცემის პროცედურა მარტივია - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ბენეფიციარის წარმომადგენელი, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, აფთიაქში წამალს უფასოდ მიიღებს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2

მუხლჩაუხრელი შრომის ხუთი წელი—ეს „იმერმედია“ ☞3

შემაჯამებელი პროექტები საბავშვო ბაგა-ბაღებში ☞4,5

პრემიერა შედგა... მიზანი მიღწეულია ☞5

23 ივნისს ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს... ☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

პროგრამა „განახლებული რეგიონები“...

ამ პროგრამის პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ. თერჯოლის ცენტრალურ უბანს—რუსთაველის ქუჩას, 5 მაღლივ შენობას და 2 პარკს.

პროგრამა „განახლებული რეგიონები“ პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული 4 წლიანი პროგრამაა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას გულისხმობს.

პროგრამის პირველ ეტაპზე დაფინანსებული პროექტების უმეტესობა 2022 წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს.

პროგრამის დასრულების შემდეგ განახლდება ცენტრალური ქუჩები, რეაბილიტირდება და მოეწყობა ახალი სკვერები და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა. ახალი პროექტების შედეგად განახლებული ურბანული მდებარეობები ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს ადგილობრივ მოსახლეობას.

ოთხი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი მაგისტრალი...

დასრულების ეტაპზეა რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზის საავტომობილო გზის 19 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნული გზა თერჯოლის, ტყიბულის, ჭიათურის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტებისა და მათი მიმდებარე სოფლების საგზაო კავშირს წარმოადგენს.

ამ დროისთვის გზის ერთ მონაკვეთზე გვერდულებისა და საგზაო ნიშნების მოწყობა, ხოლო მეორე მონაკვეთზე გზის საფუძვლისა და ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 16 443 900 მლნ. ლარია.

სამუშაოები ეტაპობრივად ზაფხულის ბოლომდე დასრულდება.

ახალთერჯოლის წყალი...

სოფელ ახალთერჯოლაში უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, წყლის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

დღეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს წევრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში, წყლის ცენტრალური რეზერვუარი, დამცლელი და მიმწოდებელი მაგისტრალები, საქლორატორო, სატუმბი სადგური და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ, სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

სოფელ ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“ ახორციელებს, რომლის ღირებულება 2 138 227 ლარს შეადგენს.

ზედა საზანოს ახალი საბავშვო ბაღი...

გარდა ამისა, სოფელ ზედა საზანოში მიმდინარე საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები მორიგ ჯერზე მოინახულეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ორსართულიანი იქნება და 100-მდე აღსაზრდელს მოემსახურება. საბავშვო ბაღში მოეწყობა სათამაშო, სასადილო, სამზარეულო და საძინებელი ოთახები. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის ფარგლებში, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

შეაჯამეს სასწავლო წლის შედეგები...

ამ დღეებში, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ორგანიზებით, კულტურის სახლის დარბაზში წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი ესწრებოდნენ.

სკოლის მოსწავლეები მრავალფეროვანი ნომრებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობები წარმოაჩინეს, ასევე ისაუბრეს სკოლის მნიშვნელობაზე, საყვარელ პედაგოგებსა და ერთმანეთთან მეგობრობაზე.

„დღეს განსაკუთრებით ამაღელვებელი და ემოციური დღეა, ვინაიდან მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის სრულდება სასკოლო ცხოვრების ერთი ეტაპი და იწყება ახალი. ძალიან მახარებს თითოეული თქვენგანის წარმატება, გულწრფელი სითბო და სიყვარული. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა ეს ღონისძიებაც. მინდა მადლობა გადავუხადო მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებსა და მშობლებს, მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის საქმეში გაწეული შრომისათვის“—განაცხადა ელისო მურადაშვილმა.

მოსწავლეებს დაწყებითი კლასის პედაგოგი, მაია კუტალაძე დაემშვიდობა, სამომავლო გზა დაულოცა და ბავშვებს სამახსოვრო სიგელები გადასცა.

ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელმა პირებმა და სასკოლო ცხოვრებაში წარმატებები უსურვეს.

გამოსაშვებ ღონისძიებას, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქეთევან შეყრილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, ასევე სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საავტომობილო გზა ქალაქ თერჯოლის გავლით...

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზაზე 11.6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი თერჯოლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს; იწყება ქალაქ თერჯოლის ცენტრში, გაივლის სოფლებს: რუფოთს, ახალ თერჯოლას, ჩხარს და სრულდება სოფელ ძევრში პროექტის შესაბამისად.

ხორციელდება ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებისა და ადგილობრივ გზებთან მიერთებების მოწყობა. განხორციელდება გზის ჰორიზონტალური მონიშვნისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 8.5 მლნ. ლარია.

სისხლის დონაციის მორიგი უანგარო აქცია...

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და „ევექსის” ჰოსპიტლების ბაზაზე შექმნილი სისხლის ცენტრის ორგანიზებით სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა.

სისხლის დონაციის აქციაში მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები ჩაერთნენ, ასევე დონორობის სურვილი მოქალაქეებმაც გამოთქვეს.

ამასთან, მოქალაქეებს უფასოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები;

ჰემოგლობინი;

B და C ჰეპატიტი;

აივ ინფექცია (შიდსი)

სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა.

მუნიციპალიტეტის მერია მადლობა უხდის აქციის მონაწილეებს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის, რომლებიც ზრუნავენ თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

მუხლჩაუხრელი შრომის ხუთი წელი—ეს „იმერმედია“

„ხარისხი, კომფორტი, უსაფრთხოება, კლინიკური, გეოგრაფიული, ფინანსური ხელმისაწვდომობა, განვითარებისაკენ მუდმივი სწრაფვა“—ეს კლინიკა „იმერმედის“ დევიზია. რა გაკეთდა კლინიკის გახსნიდან—2017 წლის 17 ივნისიდან დღემდე—ამის თქმა ძნელიცაა და ადვილიც, მაგრამ მთავარია, რომ ბევრი გაკეთდა...

ყველაზე რთული წლები გადატანილია. ეს წლები იყო დანაპირების შესრულებისთვის ბრძოლის, აღიარების მოპოვების წლები, კლინიკა ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, არსებობს მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამა, მოსახლეობა სარგებლობს იმ დამატებითი შეღავათებით, რაც გათვალისწინებულია მერიის შესაძლებლობებით, ტარდება უფასო გასვლითი გასინჯვები იმერეთის მუნიციპალიტეტებში, აქტიურად მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, კარდიოლოგია, თერაპია, ოფთალმოლოგია, პედიატრია, ანგიოლოგია, გინეკოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, ენდოკრინოლოგია, ტრამვატოლოგია, ნეიროქირურგია, ინფექციური თერაპია და რეანიმაცია. წარმოებს ზოგად ქირურგიული, ნეიროქირურგიული, პროქტოლოგიური და ოფთალმოლოგიური ოპერაციები. კლინიკას აქვს ოტო-რინოლარინგოლოგიური სერვისი და მაღალკვალიფიციური მოწვეული ექიმების მიერ ტარდება ცხვირის გამრუდებაზე პლასტიკური ოპერაციები, სისხლძარღვთა კორონოგრაფია და სტენდირება. არსებობს საკუთარი ავტორიზებული აფთიაქი, რომელიც სპეციალური მედიკამენტით მარაგდება და ექიმის დანიშნულებით და რეცეპტით ნარკოტიკული საშუალებების და ინსულინის მიღება ადგილზე შეიძლება. სრულად არის მოწესრიგებული კლინიკის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული და ავტონომიური წყალმომარაგება, გათბობა, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, კონდიციონერების, ჟანგბადისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. ცენტრი ჩართულია ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაში და ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პაციენტებს ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურებას უწევენ მაღალკვალიფიციური ექიმები, ბენეფიციარები მკურნალობას ღებულობენ არა მარტო ფსიქიური ჯანმრთელობის მხრივ, არამედ ყველა პროფილით, ხოლო ხუთწევრიანი გადამზადებული მობილური ჯგუფი მუშაობს ბინაზე, მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში.

ფუნქციონირებს გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, რომელიც აღჭურვილია მობილური ციფრული რენტგენით, პორტატული ექოსკოპიით, ბრონქოსკოპიით.

უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიზნით, სპეციალური საშუალებებით აღჭურვილი სამედიცინო მანქანებით და სპეციალიზირებული საექიმო ბრიგადებით განახლდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტოპარკი.

კლინიკა ჩართულია სამეანო მომსახურების მეორე დონეში. მოსახლეობას აქვს სამეანო პროფილით ეფექტური და ხელმისაწვდომი სერვისის მიღების საშუალება. სამშობიარო გათვლილია წლიურ 400 მშობიარეზე, არის რამდენიმე საწოლი შესაძლო პათოლოგიურ ორსულთათვის, ახალშობილთა ინტენსიური მოვლის პალატა, სამშობიარო აღჭურვილია უახლესი აპარატურით. აქ არის ყველაფერი, რა მდგომარეობაც შეიძლება გაიაროს ქალმა ორსულობიდან მშობიარობამდე. მშობელი და ჩვილი კლინიკაში ყოფნის პერიოდში უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური მოვლის საშუალებებით, კვებით...

ტრადიციული შეხვედრა

2017 წლიდან, ყოველი წლის 17 ივნისს კლინიკა „იმერმედის“ თანამშრომლები გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებენ, მომავალზე მსჯელობენ. 2022 წლის 17 ივნისსაც შეიკრიბნენ. შეხვედრა ტრადიციულად „იმერმედის“ დამფუძნებელმა ბატონმა ვლადიმერ კეპულაძემ გახსნა, მან მადლობა გადაუხადა „იმერმედის“ თანამშრომლებს შრომისმოყვარეობისათვის, კვალიფიკაციისათვის, კეთილსინდისიერებისათვის, გაძლებისთვის, მოიყვანა ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტრეანიმატოლოგების კომისიის შემოწების მასალები, რომ რეანიმაციული ავადმყოფების მართვის მიმართულებით იმერმედი მე-5 ადგილზეა ქვეყნის მასშტაბით. ითქვა, რომ „იმერმედი“ იყო ერთ-ერთი პირველი კლინიკა, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე კოვიდცენტრად გადაკეთდა, მაგრამ ისე, რომ მომსახურება ეწეოდა სხვადასხვა კლინიკური ნიშნით დაავადებულ პაციენტებს. ციფრები ციფრებია, დამაჯერებელი არგუმენტია, მაგრამ ითქვა ისიც, რომ ეს ვერ ამსუბუქებს იმ ოჯახების მდგომარეობას, რომლებმაც სამწუხაროდ ახლობლები დაკარგეს.

დიახ, „იმერმედმა“ გაუძლო კოვიდის პერიოდს. აქ, 3765 კოვიდპაციენტი ებრძოდა ამ მძიმე დაავადებას. ბევრმა, მომსახურე პერსონალიდან სიკვდილს ჩახედა თვალებში და გამოჯანმრთელებულები კვლავ სამუშაოს უბრუნდებოდნენ... ყოველი გადარჩენილი სიცოცხლე, სახლში გაწერილი ავადმყოფი კოვიდცენტრის თანამშრომლებისათვის ნამდვილი ზეიმი იყო, ერთეული მარცხით გამოწვეული ტკივილი დღემდე მოჰყვებათ.

შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს და „იმერმედის“ თანამშრომლებს მიმართა ცენტრის მთავარმა ექიმმა სოფიო ბუსკივაძემ. იგი მიესალმა, უფრო სწორად, მოეფერა თანამშრომლებს—აწი ვერაფერი დაგვამარცხებს, აწი ადვილად გადავლახავთ სირთულეებს. ერთად მუშაობით ჩვენ დავამარცხეთ პანდემია, უკან დარჩა უმძიმესი პერიოდი. ამაყი ვარ, რომ ამ კოლექტივის წევრი ვარ... დამსწრეთ მიესალმა ექიმი დავით სარიშვილი, მოწვეული სტუმარი, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი კობა კობალაძე.

ბატონმა ვლადიმერმა „იმერმედის“ თანამშრომლებს: ლიანა ქურციკიძეს, ენვერ აბჟანდაძეს, ზაზა მჭედლიშვილს, თეა ასლანიშვილს, ნინა ქოტიადის, ინგა ბესენაძეს, მალხაზ მაკარიძეს, მანანა კახიძეს, მეგი უფლისაშვილს, ნიკა ზოსიაშვილს, ხათუნა მარგიანს, ჯუმბერ ვერულაშვილს, ზაზა მეგრელაძეს—კარგი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სამადლობელი სიგელები გადასცა.

შთამბეჭდავი სამი ციფრი

კლინიკა სრული დატვირთვით მუშაობს. ხუთ წელიწადში სტაციონარული მომსახურება გაეწია 19208 პაციენტს, ამბულატორიული 19882 პაციენტს, კლინიკაში იმკურნალა 3765 კოვიდპაციენტმა. ამ რთულ და შრომატევად საქმეს კლინიკის 345 თანამშრომელი ემსახურება.

მადლობა ანსამბლ „ივერიისგან“

„იმერმედში“ მკურნალობდა ანსამბლ ივერიის წევრი, მომღერალი თამაზ ქაჯაია. ბატონი თამაზი ახლა კარგად არის, მძიმედ გადაიტანა კოვიდი, მაგრამ ექიმების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, რისთვისაც მან და მისმა ივერიელმა მეგობრებმა მადლობა „იმერმედის“ მომსახურე პერსონალს არაერთხელ გადაუხადეს.

* * *

„იმერმედის“ ხუთი წლის იუბილეს, რომელსაც მუხლჩაუხრელი შრომის ხუთი წელი უწოდეს ესწრებოდნენ: თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე, მირზა ქოჩიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარათაშვილი, სხვა მრავალი სტუმარი სხვადასხვა ქალაქებიდან, მუნიციპალიტეტებიდან. აქ იყვნენ ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები: ვახტანგ ტატიშვილი, ნუგზარ კვაშალი, ნუგზარ ერგემლიძე, გურამ ჯაში, ბესო კალანდაძე, თამაზ ქაჯაია, მაკა ქაჯაია, ზურა მანაგაძე, ზურა კობეშავიძე, რომლებმაც თავიანთი, ცნობილი და მონატრებული სიმღერებით გაახალისეს განწყობილება.

* * *

სრული ხუთი წელი გავიდა, რაც „იმერმედი“ მუშაობას შეუდგა. არიან კმაყოფილი პაციენტები, სამადლობელი წიგნიც რამდენჯერმე შეივსო, მაგრამ ცხადია იქნებიან უკმაყოფილონიც—ათასობით პაციენტის მომსახურების პირობებში არაფერია გამორიცხული.

„იმერმედის“ ლამაზი, კეთილმოწყობილი შენობა სალოცავს გადაჰყურებს, აქედან მივაპყროთ მზერა მომავალს...

„იმერმედი“, საზეიმო საღამოს თითოეული წევრი, სრულიად საქართველო და მსოფლიო, მეუფე გიორგიმ დალოცა.

„და აზარფეშამ ფრინველივით გაინავარდა“

ქართული სუფრა არ არის მარტო ღვინის სმაში გაჯიბრება, ქართული სუფრა არის ლხინი, სიმღერა, ლექსის თქმა, იუმორი, თამადა კი—ქართული სუფრის მშვენება—უნდა იყოს გონიერი, პატივსაცემი, მჭერმეტყველი, „მელექსე“, სიტყვა-წყლიანი, ლამაზ-ენიანი, მომღერალი, „მსმელი გოლიათიც“. იმაზე თუ რამდენად აკმაყოფილებს ექიმი მამუკა აბულაძე თამადისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, არაფერს ვიტყვით, მაგრამ „იმერმედელთა“ ყველა სუფრის თამადა რომ არის, ფაქტია. ერთხმად შეისვა მშვიდობის, იმედის, მომავლის, სიწმინდისა და სისპეტაკის—„თეთრი ხალათის“ სადღეგრძელო და მასპინძლობდნენ იმერმედის ხელმძღვანელები: ბატონი ვლადიმერი და ქალბატონი სოფო, ისინი „ფეხზე იდგნენ“, ყველა სუფრასთან, მის ყველა წევრთან მიდიოდნენ, ეფერებოდნენ და მადლობას უხდიდნენ. მე კი ვიტყვი, რომ პირიქით—მადლობა მათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

შემაჯამებელი პროექტები საბავშვო ბაგა-ბაღებში

ეს ზაფხული არ ჰგავს გასული წლისას, როცა საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებში, რიგიანად დამშვიდობება და გზის დალოცვა ვერ მოხერხდა იმ ავადსახსენებელი პანდემიის გამო, რომლის ორწლიანმა ბობოქრობამ მრავალ ლამაზ წუთსა და ურთიერთსიყვარულის გაცხადებაზეც კი უარი ათქმევინა აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს.

ამ მხრივ ნამდვილად გაუმართლა წლევანდელ გამოსაშვებ, ანუ მზაობის ჯგუფებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორმა წელმა საგრძნობლად შეაფერხა მათი სასწავლო პროცესები და ექვსი თვეც არ უვლიათ თავიანთ საყვარელ მეორე ოჯახში, პატარა გოგო-ბიჭებმა, ანუ ნორჩმა მოქალაქეებმა და მათმა აღმზრდელებმა მაინც შეუძლებელი შეძლეს.

დიახ, მთელი თვე გრძელდება საინტერესო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში. საბავშვო ბაგა-ბაღებთან გულისხმიერ და მზრუნველ აღმზრდელებთან მზაობის ჯგუფის აღსაზრდელთა დამშვიდობება ნამდვილ ზეიმად იქცა. ძალისხმევისა და შრომის შედეგი სახეზეა. მიუხედავად ბაღში გატარებული მინიმალური დროისა ერთი მეორეზე უკეთესი პროექტების წარმოდგენა მაინც მოხერხდა და ეს ჩვენი პატარების, მათი აღმზრდელებისა და მშობლების დიდი რუდუნების შედეგია—ამბობს „თერჯოლასთან“ საუბარში სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მაია თორთლაძე.

„თერჯოლას“ საშუალება ჰქონდა, საბავშვო ბაგა-ბაღის რამდენიმე გამოსაშვებ ზეიმს დასწრებოდა და შთაბეჭდილებებსაც უზიარებს მკითხველებს.

ვინ დახატავს საქართველოს?..

თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი ლია გიორგაძე, მეთოდისტი ლალი ფანჩულიძე) დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პატარების, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებას და ამის დიდი ტრადიციებიც გააჩნიათ. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა წლევანდელმა, გამოსაშვები ჯგუფის საზეიმო ღონისძიებამ.

არ შეიძლება გულგრილი დაგტოვოს განსაკუთებული სილამაზით მორთულმა სცენამ და შესანიშნავ კოსტიუმებში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა...

ახლა ბაღის მზაობის ორი ჯგუფის 43 აღსაზრდელი მაყურებლებს, მშობლებს, ახლობლებს, სტუმრებსა და თავიანთ აღმზრდელებსაც კი აჩვენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, როგორ გაიზარდნენ, როგორ დაფრთიანდნენ და რომ მზად არიან ახლა სკოლაში გადაინაცვლონ, საყვარელი ბაღი კი მომავალ თაობებს გადაულოცონ...

„ვინ დახატავს საქართველოს?“ ასე ერქვა პროექტს და კითხვას პასუხიც გაეცა, თუმცა იყო სხვადასხვა აქტივობა, რომელსაც აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა ერთობლივი ძალისხმევით ძალიან კარგად გაართვეს თავი.

ძნელი მისახვედრი არ არის რას ემსახურება ეს თეატრალიზებული წარმოდგენა. მხატვარს, რომელსაც უნდა საქართველო დახატოს, უფრო მეტი სილამაზის ხილვა სურს, ვიდრე ცალ-ცალკე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ან თუნდაც ზამთარია.

ეს ყველა მათგანის ერთად ყოფნითაა შესაძლებელი. მრავლისმომცველმა სცენარმა, კარგად მომზადებულმა თითოეულმა მონაწილემ, ანუ პატარა „მსახიობებმა“ შეძლეს მაყურებლებთან მიეტანათ მთავარი სათქმელი. საქართველო ყველამ ერთად მეგობრობით, სიყვარულით, ურთიერთთანადგომით უნდა „დახატოს“!

მართლაც საოცარი მეგობრობა დახატეს ბავშვებმა. ყველამ ერთად ლექსებით, სიმღერებით თუ ლამაზად შესრულებული ცეკვებით უთხრეს უფროსებს, რომ ჩაიბარებენ, მოუვლიან და გააძლიერებენ სამშობლოს. რომ ის, რაც ვერ შეძლეს უფროსებმა თავად მიხედავენ და ისევ გაბრწყინდება საქართველო.

შთამბეჭდავია თითოეულის მონაწილეობა გამოსაშვებ ზეიმში, ისინი დიდი მონდომებით, სერიოზულობით და გააზრებით აკეთებენ თავიანთ საქმეს.

თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ცეკვა „ქართულის“ შემსრულებლები მართა და მათე კუტალაძეების შესახებ. ძნელად თუ ნახავთ ამ ასაკის ბავშვებისაგან ასეთი „პროფესიონალიზმით“ შესრულებულ ცეკვა „ქართულს“...

საოცარი იყო აგრეთვე მათე კუტალაძის მიერ დოლზე შესრულებული მუსიკალური ნომერი, ასევე საბა ცხადაძისა და თაკო ბუცხრიკიძის შესრულებული „წუნა და წრუწუნას“ დუეტი...

ზეიმი დასასრულს მიუახლოვდა და პატარებს მადლობა გადაუხადა და გზა დაულოცა ბაღის დირექტორმა ლია გიორგაძემ. მან მადლობა გადაუხადა აღმზრდელებს, მეგი ჯანგიანს და იზაბელა ჭუმბურიძეს, მეგი გოგიაშვილს, თეონა ვერულაშვილს, აღმზრდელის თანაშემწეებს ზოია კოხოძეს, ნანა ბუცხრიკიძეს, მაია ჩანთაძეს, ნინო ყვავაძეს, მუსიკის პედაგოგს ქეთევან ჩანთაძეს, ბაღის მთლიან კოლექტივს.

მადლობა გადაუხადა აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს და რაიონის ხელმძღვანელებს.

მაია თორთლაძემ ერთგვარად შეაჯამა პატარებისა და აღმზრდელების მიერ წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ სახეზეა სასკოლო მზაობა, აღმზრდელებისა და აღსაზრდელების თავდადებული მუშაობის შედეგი... მანვე დალოცა და პატარებს წარმატებები უსურვა ცხოვრების გზაზე...

„ზღაპრული სამყაროდან გზა ცოდნისაკენ“

ეს ქალაქ თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღია. ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აგებული შენობის მოლოდინში ბაღის 42-ე გამოსაშვები ჯგუფის ზეიმი დროებით საცხოვრისში უნდა გაიმართოს... მომცრო დარბაზი ისე ლამაზად მოურთავთ, თავი მართლაც ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. აი ისინიც: მარიამი, დემეტრე, ქეთი, ოთო, თეკლა, ანდრია, ნიკოლოზი, ვახო, საბა, ნინო, დაჩი, გაბრიელი, მათე, ზურა, მათე, ილია, გიორგი და ალექსი საზეიმო მუსიკის ფონზე შემოდიან და თავიანთ ადგილებს იკავებენ.

პატარების მიერ სამყაროს შეცნობა ზღაპრებით იწყება. მასში დიდი სიბრძნე და შეგონებებია, დიახ, ზღაპრები, მისი მრავალფეროვანი პერსონაჟები ანუ მთავარი გმირები პატარებს თავიანთ ჯადოსნურ ქვეყანაში ამოგზაურებენ, თავგადასავლებს უზიარებენ და ზღაპრული ამბების თანამონაწილედ ხდიან...

ის საზეიმო წუთებიც ბავშვებმა საყვარელ პერსონაჟებთან „წითელქუდასა“ და „კომბლესთან“ ერთად გაატარეს... ერთად შეასრულეს სიმღერები, ლამაზი ცეკვები... სხვადასხვა აქტივობით აჩვენეს, რომ სრულიად მზად არიან სასკოლო ცხოვრებისათვის, რომ აქ გართობა-თამაშთან ერთად მიღებული ცოდნა, ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები- გაუადვილებთ ცხოვრების ახალ ეტაპს...

კარგად შედგენილმა სცენარმა ყველაფერი დაიტია, იყო ბაღთან, საყვარელ აღმზრდელებთან დამშვიდობების წუთებიც...

ბავშვებს სკოლისაკენ გზას ულოცავენ: ლალი ქარქაშაძე—ბაღის დირექტორი, ქეთევან ჯაბიძე—მეთოდისტი, მაია თორთლაძე—სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი და სხვები.

ლალი ქარქაშაძემ მადლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელს, ცენტრს გაწეული დახმარებისთვის, ბაღის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით მზაობის ჯგუფის აღმზრდელებს ხათუნა გაბეხაძეს, ნონა ქოჩიაშვილს და აღმზრდელის თანაშემწეებს ნელიკო შეყრილაძეს, მარიკა სახელაშვილს, მუსიკის მასწავლებელს ლია გაგიშვილს, ფსიქოლოგს, ლოგოპედს, სპეცმასწავლებელს ეთერ უკლებას, ი. ჩუბინიძეს, ნინო ლიკლიკაძეს.

გამოსაშვები ჯგუფის ზეიმს ესწრებოდნენ №2 საჯარო სკოლის პედაგოგები მაია აბულაძე და ნონა კუპატაძე... ისინი, ვინც სექტემბრიდან სკოლაში ამ პატარების მასწავლებლები იქნებიან...

და ამით ყველაფერი არ დამთავრებულა.

ბაღმა თავიანთ აღსაზრდელებს განშორების სამახსოვროდ ძალიან შთამბეჭდავი საჩუქრები მოუმზადა: სამახსოვრო სერთიფიკატები, დროის კაფსულა, თავიანთი ნამუშევრები და გრაგნილი, სადაც მშობლები თითოეულის სურვილს ამოიკითხავს...

შემდეგ იყო სამახსოვრო სურათების გადაღება და დამშვიდობების, სიყვარულის და მოფერების ცრემლებიც...

პროექტი „ცხოველთა სამყარო“

ახალი ამოცანების წინაშე დგას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, აქ მომუშავე მუშაკებმა თავი გაართვეს რეფორმებს, მრავალ ცვლილებას, პანდემიის გამო შექმნილ დაბრკოლებებს და შემაჯამებელი მეცადინეობები და გამოსაშვები საღამოები მაღალ დონეზე ჩაატარეს, ისე, როგორც წლების განმავლობაში მივეჩვიეთ.

ღვანკითის ბაღში (დირექტორი ნინო ღიბრაძე) შერეულ ჯგუფში 28 აღსაზრდელია, 14 წელს სკოლაში შევა. მზაობის ჯგუფი მზადაა, ისინი წლების განმავლობაში ხან თამაშის, ხან სწავლების, თამაშ-სწავლების ფორმით ეუფლებოდნენ პირველდაწყებით განათლებას, სკოლისათვის ემზადებოდნენ, აღმზრდელ-პედაგოგების დახმარებით თავის გონებრივ შესაძლებლობებს რეალიზაციას უკეთებდნენ, ცოდნას იღებდნენ, მომავალს საფუძველს უყრიდნენ. პატარებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლამდელიდან, ე.წ. „დედობრივი სკოლიდან“ სასკოლო ცხოვრებაში გადასვლა არის ცხოვრების წესის შეცვლა, სერიოზული ფსიქოლოგიური გარდატეხა, იციან, რომ მათ წინაშე დასახული ამოცანები იცვლება, მეტ ყურადღებას უთმობენ ძიებას, ფიქრს, აზროვნებენ, რაც კარგად გამოვლინდა პროექტის-„ცხოველთა სამყაროს“ წარმოდგენისას, რომელიც აღმზრდელ-პედაგოგმა ნატო რობაქიძემ მოამზადა. პროექტში ყველა აღსაზრდელი დაკავებული იყო, ყველას ჰქონდა თავისი „როლი“, დასმულ შეკითხვებს ერთი, წინასწარ მომზადებული ბავშვი კი არ პასუხობდა, არამედ ადვილი მისახვედრი იყო, რომ კითხვებზე პასუხი ყველამ იცოდა, ზოგჯერ „ვერ ითმენდნენ“, ერთდროული პასუხებიც მოვისმინეთ. დაახლოებით, თუმცა რატომ დაახლოებით, დავითვალე და ოთხმოცი კითხვა დაისვა, პედაგოგმა ყველა კითხვაზე სრულყოფილი და ამომწურავი პასუხი მიიღო.

ცხოველთა მეფე ლომი, სპილოები, ვეფხვები, აქლემი, დათვები, მაიმუნები, ზებრები, ჟირაფები და მათი ოჯახები, როგორ ცხოვრობენ, სად ცხოვრობენ, რით იკვებებიან, როგორ იჭერენ მსხვერპლს, რომელს რა სარგებლობა მოაქვს. ლომების ოჯახი პრაიდი ყოფილა, პრაიდის მთავარი მონადირე ძუ ლომებია, 3 წლისას ეზრდებათ ფაფარი, ტერიტორიას ხვადები იცავენ. ყველაზე მოხუცი დედალი სპილო ჯოგის მეთაურია, აქვს მოკლე ყელი და გრძელი ხორთუმი, სპილოს ძვალი და ეშვები ძვირფასია. ვეფხვი საათში 97 კმ. გადის, მსხვერპლს სასუნთქ გზებს უკეტავს (ეს და ყველა სცენა ბავშვებმა კარგად გაითამაშეს). ერთკუზიანი აქლემი 110 ლიტრ წყალს სვამს 10 წუთში, დათვი 45 წელს ცოცხლობს. ზამთარში ძილს ეძლევა, შეიძლება 6 თვეც კი, მაიმუნებიდან ყველაზე დიდია გიბონი, ზოგიერთს ჟესტების ენით შეუძლია ლაპარაკი, დილაობით დაახლოებით ნახევარი საათი მღერიან თავიანთი ტერიტორიის მოსანიშნად, ჟირაფს 24 საათში მხოლოდ ნახევარი საათი სძინავს, მისი ნაშიერი ბოჟიკია.

სცენა და რესურსი

ბაგა-ბაღის სცენა ნამდვილ ცხოველთა სამყაროს ჰგავდა, მრავალი რესურსი და პატარების მიერ განსახიერებული „ცხოველები“ საინტერესო სანახავი იყო. პატარებმა იციან, რომ ცხოველები ცოცხალ არსებათა ერთ-ერთი ძირითადი სამეფოა, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანთა ცხოვრებაში, რომ ადამიანები ზოგჯერ არასწორად ერევიან ბუნებრივ პროცესებში, რითაც ნადგურდება ცხოველთა მრავალი სახეობა, საუბარი იყო ცხოველთა დაცვის ღონისძიებებზე, უარყოფითად შეაფასეს ტყეების განადგურების პროცესი, ისაუბრეს ველურ ბუნებაზე, საკვების მოსაპოვებლად ძლიერისა და სუსტის ბრძოლაზე, ერთმანეთის განადგურების საკითხზე. პატარებმა ამოიცნეს პედაგოგის მიერ ნაჩვენები ცხოველთა სურათები, მ.შ. „ზედმეტი“ შინაური ცხოველი, ისაუბრეს სავანაზე—ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ტიპებზე, მაღალი და დაბალი ხეების მონაცვლეობაზე...

პროექტის მსვლელობისას საუბარი არ იყო მარტო ცხოველებზე და მათ სამეფოზე, იყო ისეთი ჩართულობები, რითაც გამოამჟღავნეს ცოდნა ქართულში, არითმეტიკაში, მათ მოქმედებებს სპექტაკლის სახე ჰქონდა, ხელს უწყობდათ ჩაცმულობა, რაც ღონისძიების მოწყობაში მშობელთა აქტიური მონაწილეობის მანიშნებელი იყო.

აღმზრდელ პედაგოგებს ღონისძიების მოწყობაში ეხმარებოდნენ: მეორე ცვლის აღმზრდელი მადონა ცხადაძე, აღმზრდელის დამხმარე მერი კობიაშვილი, მეთოდისტი თეა ქემოკლიძე, მუსიკის პედაგოგი ირინა რობაქიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე და სხვა თანამშრომლები, მერის წარმომადგენელი სოფელში ტარიელ კუბლაშვილი, სკოლის დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, პედაგოგი ცირა მურჯიკნელი, რომელიც ამ გამოშვების პირველი მასწავლებელი იქნება, აქ მრავლად იყვნენ მშობლები, მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მეთოდისტები. მაია თორთლაძემ, მეთოდისტმა დალი სოფრომაძემ და ბაგა-ბაღის მეთოდისტებმა შეაფასეს პროექტი, აღინიშნა, რომ იგი კარგად იყო მომზადებული, მიზანი მიღწეული, აღსაზრდელებმა გამოავლინეს მზაობა სკოლისათვის, მშობლებმა კმაყოფილება გამოთქვეს შვილების მომზადების დონის გამო და მადლობა გადაუხადეს აღმზრდელ-პედაგოგებს.

ღონისძიება შეაჯამა ბაღის დირექტორმა ნინო ღიბრაძემ, მან მადლობა გადაუხადა სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს თანადგომისათვის, ბაგა-ბაღი აღმზრდელ-პედაგოგებს და სხვა თანამშრომლებს. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, დაურიგდათ ალბომები, რომელიც ასახავს ბაგა-ბაღში გატარებულ წლებს...

კიდევ ერთხელ მიულოცეს გამარჯვება ბაგა-ბაღის მეთოდისტს თეა ქემოკლიძეს, რომელმაც ბათუმში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე—„ადრეული განათლება და ზრუნვა“ წარდგენილი თემისათვის „თამაში და სწავლა“ მიიღო სერთიფიკატი „საუკეთესო პრეზენტატორი“ და „მწვანე ჯილდო 2022“.

ჩვენც ვულოცავთ. მისი ხელი ნამდვილად ეტყობა ბაღს. მაია თორთლაძის თქმით—ნატო რობაქიძისაგან კი ყოველთვის მოელის სიახლეს, ინოვაციური სწავლების მეთოდის გამოყენებას, ბავშვების სკოლისათვის მომზადების პრობლემების სწორ გადაწყვეტას.

ჟუჟუნა ცხადაძე

პრემიერა შედგა... მიზანი მიღწეულია

კიდევ ერთი დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში: პატარების მხატვრული კითხვის კლუბის „ნეკას“ წლის შემაჯამებელი აქტივობა და არც მეტი, არც ნაკლები, წარმოდგენილი სპექტაკლის პრემიერა.

ივნისის იმ ლამაზ დღეს გივი ჭიჭინაძის პიესის „იისფერას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით მასპინძლობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას კლუბი „ნეკა“.

ბუნებრივია იყო თანმდევი სირთულეები, ღელვა... თუმცა კლუბის კოორდინატორის სათანადო გამოცდილებისა და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ქალბატონის ლალა კუპატაძის მიერ აღსაზრდელებთან გაწეულმა მუშაობამ აჩვენა, რომ მიზნის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია, თანაც სულ პატარებთან.

მაყურებლები ლამაზი მოსაწვევებით მოიპატიჟეს...

სპექტაკლის პრემიერაზე მობრძანდნენ: სულ პატარა ციცქნა გოგო-ბიჭები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, იყვნენ მშობლები, ბებია-ბაბუები, საზოგადოების წარმომადგენლები, ერთი სიტყვით იყო სხვადასხვა თაობის მაყურებელი...

ფარდა გაიხსნა ლამაზი მუსიკის ფონზე და იქვე გაჩნდა ნიშანი სპექტაკლის წარმატებისა. კარგად შერჩეულია დეკორაციები და მონაწილე პერსონაჟების განლაგება... ეს ის შემთხვევა იყო, დუმილიც რომ „საუბრობს“ ძალიან მიზნობრივად...

აუცილებლად უნდა გაგაცნოთ მოქმედი პირნი და შემსრულებლები.

იისფერა—მარიამ კუბლაშვილი—12 წლის, სამი ღაბუა—5 წლის ანამარია ამირანაშვილი, 5 წლის მარიამ ჩუბინიძე და 10 წლის ლილე კუბლაშვილი, კატა—ლალო მაკარიძე 12 წლის, თევზი—მართა მაკარიძე 11 წლის, ყვავილი—მარიამ ქარქაშაძე 7 წლის, ყვავილი—მარიამ მაკარიძე 4 წლის, გენერალი —დაჩი საყვარელიძე 6 წლის.

დიახ, სპექტაკლში მონაწილე „მსახიობები“ ყველაზე დიდი 12 წლის, ხოლო ყველაზე პატარა 4 წლისაა... თუმცა გასაოცარი მონდომებითა და შესაძლებლობებით თითოეულმა საუკეთესოდ გაართვა თავი თავიანთ როლს...

დიახ, იმ დღეს ბავშვები თამაშობდნენ ბავშვებისათვის და თამაშობდნენ უფროსებისათვისაც.

სპექტაკლის ფაბულა, რომ თანადგომა, მეგობრობა, სიყვარული და სიკეთის კეთება, აუცილებელია და ყველა დაბრკოლება ამით გადაილახება პატარა მსახიობებმა თავადაც გაიაზრეს ძალიან კარგად და მაყურებლებსაც გადასცეს, რომ ყველანაირი ბოროტების დასამარცხებლად სულ პატარა სიკეთის მარცვალიც კი საკმარისია...

წარმოდგენილ სპექტაკლის პრემიერას მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან ერთად დაესწრო. მან მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს, კლუბ „ნეკას“ პედაგოგსა და სპექტაკლის თითოეულ მონაწილეს და წარმატებები უსურვა მომავალში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ნინო ოქრუაძემ მადლობა გადაუხადა სპექტაკლის თითოეულ მონაწილეს, კლუბის კოორდინატორს და ცენტრის კოლექტივს, რომლებიც ერთმანეთს აქტიურად უდგანან გვერდით, მანვე მადლობა გადაუხადა სტუმრებს და რაიონის ხელმძღვანელებს.

მზია ცქიფურიშვილი

მიუწვდომელი სიმაღლე...
„ვეფხისტყაოსანი“ მიუწვდომელიც და მისაწვდომიც...

„ვეფხისტყაოსანი“ გვირგვინია ქართული პოეტური კულტურის. მისმა ავტორმა, დიდმა შოთა რუსთაველმა გამოხატა ქართველი ხალხის საუკეთესო სულიერი ზრახვანი, საუკეთესო იდეალები: გმირობა, ვაჟკაცობა, ძმობა-მეგობრობა, ხალხთა მშვიდობიანი თანამეზობლობა და თანამშრომლობა, სამშობლოს უანგარო სიყვარული, ამაღლებული მიჯნურობა, მანდილოსნის პატივისცემა, სიმართლისათვის თავდადებული სამსახური.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის სახით რუსთაველი აიდიალებს სარაინდო-სავაჟკაცო თვისებებს, ნესტანი და თინათინი ანსახიერებენ გარეგნული სილამაზის, ზნეობრივი სიფაქიზის, გონიერების სამაგალითო თვისებებს. ნესტანი იმორჩილებს თავის გრძნობებს და ტარიელისადმი მიწერილ წერილში თხოვს მას არა მის დახსნას, არამედ განსაცდელში მყოფი სამშობლოს დახმარებას. თინათინი სამი წლით „თმობს“ სატრფოს და უცხო მოყმის საძებნელად უშვებს, მერე კი ნესტან-დარეჯანის დასახსნელადაც. „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსაო“, მაგრამ აღიარებულია ისიც, რომ ცალკე პიროვნება უძლურია გამარჯვების მოსაპოვებლად, როგორი ძლიერი და მამაცი უნდა იყოს, რომ გამარჯვების საწინდარია სოლიდარობა, ძმობა, მეგობრობა, სიყვარული. უკეთილშობილესი მიზნით გაერთიანებული სამი შესანიშნავი მეგობარი საბედნიეროდ ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს, მათი ძმობა-მეგობრობა მათი ხალხების მეგობრობაში გადაიზარდა.

***

„ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე უნდა გაიზარდოს თაობები. ამ მაგალითის ათვისება სკოლაში იწყება. არ შეიძლება, სიღრმისეულად შეისწავლო ეს გენიალური ნაწარმოები და არ დაგეხმაროს იგი სულის გაკეთილშობილებაში, არ შეიძლება არ მიბაძო მათ გმირებს.

კერძო სკოლა „მზეკაბანის“ X კლასში ათი მოსწავლე სწავლობს, ათივე საუკეთესო და გამორჩეული სწავლით, ყოფაქცევით, ერთმანეთისადმი სიყვარულით და პატივისცემით, მათ ახლახან დაამთავრეს „ვეფხისტყაოსნის“ გაკვეთილები, ღრმად შეისწავლეს, სამაგიდო წიგნად გადააქციეს. ამ დღეებში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც წარმოადგინეს „ვეფხისტაყოსანი“ როგორც სპექტაკლი, ეს ნათლად გამოჩნდა, მოსწავლეებმა ზეპირად იციან ნაწარმოების დიდი ნაწილი, თან კითხულობენ მხატვრულად, განცდით და არტისტიზმით. დიდი იყო ნაწარმოების შესწავლის ინტერესი, მოიხიბლნენ მისი ღირებულებებით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მანანა წერეთლის „ვეფხისტყაოსნისადმი“ დამოკიდებულებით, მან ხომ თითქმის ზეპირად იცის იგი. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ინტერესი იმანაც გააძლიერა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება სცენაზე გაეცოცხლებინათ მისი გმირები, რამდენადაც მიუწვდომელია „ვეფხისტყაოსნის“ სიმაღლე, იმდენად მისაწვდომი გახდა „მზეკაბანის“ მე-10 კლასის ათივე მოსწავლისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ცოდნა. ისინი ცდილობდნენ გაეცოცხლებინათ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და ცხოვრებაშიდაც მიბაძავენ იმათ, რომელიც განასახიერეს, გაუძლებენ ჭირსაც, გამოიმუშავებენ ნებისყოფის სიმტკიცეს, ძალას, ვაჟკაცურ ხასიათს, ისწავლიან ქალთა პატივისცემას და ამაღლებულ სიყვარულს. ადვილად გადალახავენ დაბრკოლებას, მათ ხომ ზეპირად იციან „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო“, „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“...

ღონისძიება უნდა გასცდეს სკოლას...

„სიბრძნის, სიყვარულის, სილამაზისა და ქართული გენის ზეობა“—ასე შეფასდა „მზეკაბანელების“ მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული სპექტაკლი, სადაც X კლასელებმა განასახიერეს „ვეფხისტყაოსნის“ გმირები. მშობლებმა, მოწვეულმა სტუმრებმა სათქმელი ასე გამოხატეს—ძნელია სიტყვაში ჩაატიო ის ემოცია, რომელიც ამ ლიტერატურულმა სპექტალმა განგვაცდევინა. ქალბატონმა მანანამ და მონაწილეებმა სულ სხვა განზომილებაში გადაგვიყვანეს. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს ქართული გენის უნიკალურობასა და უკვდავებაში. ეს ბავშვები და ქალბატონი მანანა მთელ საქართველოს უნდა აჩვენოთ. სპექტაკლის მონაწილებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ არის მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალი.

მართლაც ძნელია შეაფასო და აღწერო ეს ღონისძიება, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას თუ როგორი იყო იგი—სპექტაკლი უნდა ნახო, სპექტაკლი უნდა გასცდეს სკოლას...

როლები და შემსრულებლები

ტარიელი—ვახტანგ პატარიძე, ნესტან-დარეჯანი—მარიამ მაკარიძე, თინათინი—ნინი მაჭარაშვილი, ავთანდილი—ამიკო მაკარიძე, ასმათი—ანა კუბლაშვილი, ფრიდონი—საბა ცერცვაძე, ფატმანი—ლიზი ნეფარიძე. მაყურებელი მოხიბლა დეკლამატორებმა—მარიამ პერანიძემ, გვანცა ქარქაშაძემ, მარიამ გეწაძემ.

წაკითხულ იქნა და სპექტაკლს შესანიშნავად მოერგო მანანა წერეთლის საუკეთესო ლექსები.

მუსიკალურმა ფონმა, სლაიდებმა კიდევ უფრო მშვენიერი გახადა სპექტაკლი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მამა ქრისტეფორე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, საჯარო სკოლების დირექტორების, პედაგოგების ერთი ნაწილი, გამოგვყვა რწმენა, რომ მასწავლებელი მართლაც არის ცენტრალური ფიგურა, სწორედ მან უნდა მისცეს სწორი მიმართულება მოზარდის მოუთოკავ ენერგიას, რომ სწავლა არის მძიმე, ძნელი, ხანგრძლივი, მაგრამ უაღრესად საჭირო შრომა, რომ სწავლაა მოსწავლის განსაკუთრებული დანიშნულება...

პოეზიის საღამო—
გალაკტიონი და ტერენტი

პოეზიის საღამო, რომელიც თერჯოლის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი ელისო მურადაშვილი) მე-6 გ კლასის (ქართულის ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ამირანაშვილი, კლასის დამრიგებელი ანნა მემანიშვილი) მოსწავლეებმა გამართეს ჩხარის №1 საჯარო სკოლის სხდომათა დარბაზში, ნამდვილ დღესასწაულად იქცა. გაერთიანებული იყო ერთი თაობის, თითქმის ერთი ასაკის ორი უდიდესი პოეტი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეზიით, ცხოვრებით, მაგრამ მსგავსნი პირადი ტრაგედიით „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“—ამბობდა ტერენტი, „გულში მწუხარებამ ღამე გაათია“—ამბობდა გალაკტიონი.

მოსწავლეებით, მოსწავლეთა მშობლებით, პედაგოგებით, მოწვეული სტუმრებით სავსე დარბაზში ღონისძიების მთელ მანძილზე, სიჩუმე იდგა, ყველა სულგანაბული უსმენდა საოცარი პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს, გაჯერებულს თეატრალური ელემენტებით.

რა თქვა „შავმა ანგელოზმა“

პოეზიის საღამო გალაკტიონისადმი მიძღვნილი შოთა ნიშნიანიძის „ლეგენდა“-მ გახსნა. სამი ანგელოზის მსჯელობა „როგორ დავბადოთ კაცი ყველაზე ბედნიერიც და უბედურიც“ შავი ანგელოზის „გამარჯვებით“ დამთავრდა. იმ ღამეს გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა—კაცი, მართლაც „ბედნიერიც და უბედურიც“. ტერენტი გრანელს კი თავისავე წინასწარმეტყველება აუხდა—მოკვდა ღამით. პანაშვიდი გადაუხადა მღვდელმა, რომელმაც არ იცოდა მისი დაფერფლილი სულის ისტორია და წაკითხული არ ჰქონდა მისი სისხლიანი წიგნი, პირველი მიწა მიაყარა ვინმე უხეშმა მესაფლავემ...

მხოლოდ ერთი კლასი...

მე-6 გ კლასში 24 მოსწავლე სწავლობს. პოეზიის საღამოს მიმდინარეობაში ყველა იღებდა მონაწილეობას, თანაბრად იყვნენ „დატვირთულნი“, ლექსების კითხვისას დაცული იყო ინტონაცია—მეტყველების რიტმულ მელოდიური წყობა, ხმის აწევ-დაწევის მეთოდი მსმენელს იმასაც აფიქრებინებდა, რომ რაღაც შეეშალათ, მაგრამ არა, აქ ყველა მოსწავლე მომზადებული იყო და ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდათ. მოსწავლეები კარგად იცნობენ პოეტების ბიოგრაფიას, შემოქმედებას, ზეპირად იციან მათი ლექსები. „მთაწმინდის მთვარე“, ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, მეექვსეკლასელებს არ წაუკითხავთ, საბედნიეროდ არის შემორჩენილი გალაკტიონის ხმის ჩანაწერი, სწორედ მას მოვუსმინეთ და „რომ მეფე ვარ და მგოსანი“, რომ „არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“...

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, საჯარო სკოლების დირექტორების, პედაგოგების ერთი ნაწილი. მათ მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას, ხაზი გაუსვეს საგნის მასწავლებლის თამარ ამირანაშვილის და კლასის დამრიგებლის ანნა მემანიშვილის ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობას, რომ განათლება არის გზა თანამედროვე

განვითარებულ სამყაროში, რომ ჩვენი მომავალი, განსწავლულობა და წიგნიერება ასეთი ღონისძიებებითაც არის შესაძლებელი.

ლამაზი ღონისძიება იყო, დასამახსოვრებელი.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

23 ივნისს ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 23 ივნისი—მსოფლიოში ოლიმპიადის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 1948 წლიდან აღინიშნება.

ეს დღე თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ტრადიციული მარათონული გარბენითა და სხვადასხვა სპორტული აქტივობებით აღინიშნა.

ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომლებიც მარათონულ გარბენსა და ჭადრაკში ჩატარდა, მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილეებთან, მანუჩარ რობაქიძესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს წევრებთან ერთად შეუერთდა.

მარათონის გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ჭადრაკში კი სპორტის დამსახურებული პედაგოგის, კოტე ჩარექიშვილის სახელობის ჩემპიონატი ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავს ჭადრაკის პოპულარიზაციასა და საუკეთესო მონაწილის გამოვლენას. ტურნირის გამარჯვებულებს ფულადი თანხა და სპეციალურის სიგელები გადაეცათ.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა.

„მობილური იუსტიციის სახლის“ ორი ახალი მისამართი...

იუსტიციის სამინისტროს ინოვაციური პროექტში- „მობილური იუსტიციის სახლი“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორი სოფელი ბარდუბანი და ძევრი ჩაერთო.

„მობილური იუსტიციის სახლი“ მოქალაქეებს 450 მომსახურებას სთავაზობს და ყველა ამ სერვისით სარგებლობა უკვე იმ სოფლებშიც შეიძლება, სადაც საზოგადოებრივი ცენტრები არ ფუნქციონირებს.

ამ მიზნით სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც დაკომპლექტებულია ყველა საჭირო ადამიანური თუ ტექნიკური რესურსით, რეგულარულად ესტუმრებიან თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორ სოფელს.

„მობილური იუსტიციის სახლი“ სოფელ ბარდუბანსა და ძევრში, წინასწარი განსაზღვრული დროით, შესაბამის ლოკაციაზე განთავსდება.

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული
ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია
ოთხშაბათი-10:00 -17:00 საათი
ძევრის ადმინისტრაციული ერთეული
სოფლის ცენტრი
ხუთშაბათი-10:00 -17:00 საათი

პროექტის ფარგლებში, მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, ადგილზე, სოფელშივე მიიღონ ყველა ის სერვისი, რისთვისაც ადრე სხვა მუნიციპალურ ცენტრებში უხდებოდათ გამგზავრება. ისინი არა თუ დაზოგავენ ხარჯებს, არამედ დროულად მოაწესრიგებენ მათთვის საჭირო დოკუმენტაციას (აიღოს და შეცვალოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, დროულად განახორციელოს ქონების რეგისტრაცია, ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული აქციებითა თუ სხვა სერვისით).

„მობილური იუსტიციის სახლის“ სხვადასხვა სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა ადგილობრივებს მანამდე ექნებათ, ვიდრე ამის საჭიროება იქნება.

სასურველი წვიმები, არასასურველი შედეგებით...

გვარიანად უშხაპუნა დალოცვილმა. დღის შემაწუხებელი ხვატი საამო სიგრილემ და მიწის სურნელმა შეცვალა, მიწისა, რომლის სურნელის შეგრძნება აგრე ძალუმად რომ გვაქვს ჩვენ, სოფლად მცხოვრებთ.

ჩვენ ვიცით მისი ფასი...

მეზობელი მეზობელს გადაუძახებს ხოლმე... ერთბაშად შემოდის სიცოცხლის სინათლე შინ და გარეთ...

მაგრამ...

ზაფხულის წვიმა, აგრერიგად რომ ვნატრულობთ ხოლმე ჩვენს სოფლებში, ზოგჯერ მნიშვნელოვანი ზარალის მომტანიცაა. ასე იყო 31 მაისსაც და ახლაც—ივნისის მეორე-მესამე დეკადაში. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში, უხვი ნალექების მოსვლით მუნიციპალიტეტში ბევრგან დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, დაზიანდა ცალკეული ინფრასტრუქტურული ობიექტები, ივნისის წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობებმა კი მნიშვნელოვნად დააზარალა როგორც იმერეთის, ისე სამეგრელოს მთელი რიგი რაიონები.

მეზვრისა და ზვრის „საუბრის“ მოკლე ჩანაწერი

მე, მეზვრე-მევენახეს საზრუნავ-საფიქრალს რა დამილევს—რამდენი ღამე თეთრად მითევია...
რიჟრაჟზე ფეხზე წამოვმდგარვარ, ცაზე ამიხედავს დილა-უთენია...
შენ ისევ მეძახი, მიხმობ, ხვეწნას ვეღარ მორჩი.
დახნულ-დაბარულ-დათოხნილ-გამორჩილს ხელახლა მიხდები ასაკრავ-გასამორჩი.
რა გიყო, ვერ გთმობ, ვერ გტოვებ მარტოსულს.
ღმერთისგან ნაჩუქარს, მზის საგალობელს მიწაზე ლოცვად გარდმოსულს.
დღითა და ღამით თავს დაგკანკალებ.
ცივ სიოს არ გაკარებ.
სულ მინდა გეფერო...
ახლა შენც მითხარი შენი სათქმელი
გისმენ—
ბებერო!

ზვარი—ჩემთან სიბერეს რა ხელი აქვს, როცა ქარვის მტევნები ჰკიდიან.
როცა მახარებს მზის საგალობელი,
„მრავალჟამიერი“ და „ჩაკრულო“.
შენ ჩემო თვალის სინათლევ,
მაღალი ღმერთის ნათლულო!..

ჩემო მამულო, დიდება შენდა,
შენი ვაზის და შენი მეზვრისა,
ბედნიერი ვარ შენთვის გარჯა და
შენს სიახლოვეს ყოფნა მეღირსა!...

ჩაიწერა ნუგზარ გამყრელიძემ

მადლობა ექიმებს, მე გადავრჩი!

ვარ 86 წლის, მიმდინარე წლის 16 მაისს, გავხდი ძალიან ცუდად (გონების დაკარგვამდე), დარეკეს 112-ში და რამოდენიმე წუთში მოვიდა თერჯოლის სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი (ექიმი სოფიკო ჯუღელი). ადგილზე გაწეული დახმარების შემდეგ ექიმმა საჭიროდ ჩათვალა ჩემი გადაყვანა სტაციონარში და ასე მოვხვდი თერჯოლის ევექსის მიმღების განყოფილებაში, მორიგე ექიმ ბატონ ლევან კვატაიასთან, რომელმაც ადგილზე გაწეული დახმარების შემდეგ, ჩათვალა საჭიროდ, კატასტროფის ბრიგადის დახმარებით, მისთვის საეჭვო დიაგნოზის დასმის დასაზუსტებლად, ჩემი ქუთაისში სასწრაფოდ გადაყვანა. ასე მოვხვდი ქუთაისის ჰოსპიტალ სერვისის ჯერ რეანიმაციის განყოფილებაში, სადაც ოპერატიული ჩარევის შემდეგ დადგინდა კუჭის წყლული, ოთხი დღის შემდეგ გადამიყვანეს თერაპიულ განყოფილებაში.

დიდი მადლობა სასწრაფო სამედიცინო ბრიგადას, ექიმ სოფო ჯუღელს, თერჯოლის ევექსის კლინიკის მიმღებ განყოფილების მორიგე ექიმს ბატონ ლევან კვატაიას, დამხმარე პერსონალს, კატასტროფის მომსახურე პერსონალს, ქუთაისის ჰოსპიტალ ცენტრის რეანიმაციის განყოფილების ექიმ ბატონ რაჟდენ ჯანელიძეს და თერაპიული განყოფილების ექიმ ბატონ ავთანდილ რუხაძეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისათვის. დამხმარე პერსონალს პირადად ჩემთვის და ჩემს გვერდით მწოლარე ავადმყოფთა მიმართ კეთილი და ყურადღებიანი სამედიცინო დახმარების გაწევისათვის.

ნაირა ჩინჩალაძე,
თერჯოლა

სოფელ ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ზვიად ბაზაძე, წარმომადგენლის ასისტენტები შორენა გვენეტაძე და დავით თორთლაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სოფლის საექიმო ამბულატორიის დამსახურებული ექთნის, სამაგალითო ქალბატონის

ლელა გიორგაძის

გარდაცვალების გამო და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს.

„ქართული კინო თაობებს აერთიანებს“...

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით ცენტრის სააქტო დარბაზში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „ქართული კინო თაობებს აერთიანებს“.

ინტელექტუალური თამაში, რომლის მიზანია ქართული კინოს პოპულარიზაცია და თაობათა შორის კავშირის განმტკიცების ხელშეწყობა, ცენტრის ინტელექტუალური კლუბის „უხილავი ხილულის“ (კოორდინატორი ლეილა სირაძე) და კინოკლუბის (კოორდინატორი ანა რობაქიძე) ინიციატივით ჩატარდა. თამაშში მონაწილეობისათვის მოწვეული იყვნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, საოლქო-საარჩევნო კომისია, ა(ა)იპ-ის სახელოვნებო-განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი, თერჯოლის №1 და ალისუბნის №2 საჯარო სკოლები.

9 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზში შეიკრიბა 6 გუნდი, ექვს-ექვსი წევრის შემადგენლობით, რომელთა შორის იყო, თამაშის დებულების შესაბამისად, 2 ან 3 სკოლის მოსწავლე, ამავე ორგანიზაციაში დასაქმებულთა შვილები.

ამრიგად სათამაშო მაგიდებს მიუსხდნენ:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია: რამაზ ლორთქიფანიძის, ვანო მარუაშვილის, აკაკი ქურციკიძის, მარი კუხალაშვილის, ლია ლორთქიფანიძის და ზურა ჩიტიძის შემადგენლობით.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო: დავით გოგბერაშვილის, ჯემალ ისაკაძის, ანი ჭუმბურიძის, ვიტალი ისაკაძის, ომარ ჯიხვაშვილის, ზურაბ ბარათაშვილის შემადგენლობით.

3. მალხაზ ბუცხრიკიძის სახელობის ალისუბნის №2 საჯარო სკოლა: მირანდა ობოლაძის, მანანა იოსებაშვილის, ლია ჭანტურიძის, ვარვალა მარუაშვილის, ლუკა ბუცხრიკიძის და რატი ზარნაძის შემადგენლობით.

4. №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისია: გოჩა დოლიძის, თამარ ჭანტურიძის, ფიქრია რობაქიძის, ნინო ჯიაძის, ამირან მაკარიძის და მარიამ გეწაძის შემადგენლობით.

5. ა(ა)იპ სახელოვნებო-განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი ლადა ერმოლენკოს, ლერი მაკარიძის, ნინი ნიშნიანიძის, ემზარ ფუტკარაძის, ლალი ღვინეფაძისა და ლიკა ისაკაძის შემადგენლობით.

6. თერჯოლის №1 საჯარო სკოლა: თამუნა ამირანაშვილის, ასმათ ჩიტორელიძის, ანა მემანიშვილის, თეა მაცაბერიძის, ავთანდილ ურიადმყოფელისა და ელენე კუხიანიძის შემადგენლობით.

მოაზროვნეთა წინააღმდეგ თამაშობდნენ: ნათია ხაჩიძე—მოსწავლეთა ცენტრის იურისტი, თეა რიჟამაძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი, გიორგი ბარათაშვილი—მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რუსუდან კოვზირიძე—მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგი, დარეჯან მემანიშვილი—მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგი, პიარ მენეჯერი, ირაკლი ნებიერიძე—მოსწავლე, ნათია გამყრელიძე—მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგი, ანა გოგიაშვილი—მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგი, ანა ჩხიკვაძე—სტუდენტი, ნინო ოქრუაძე—მოსწავლეთა ცენტრის დირექტორი, ანა რობაქიძე—მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგი, აზა მემანიშვილი—კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის დირექტორი, ლაშა გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ია კვატაია—სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორი, მზია ცქიფურიშვილი—გაზეთ„თერჯოლის“ კორესპონდენტი.

ქართული კინო, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ქვეყნის კულტურული ცხოვრების საგანძურია, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ჰქმნიდნენ მას, იყვნენ ესენი რეჟისორები თუ ფილმში მონაწილე მსახიობები, როლების მოწვეული შემსრულებლები ნამდვილად იმსახურებენ მომავალი თაობებიდან ყურადღებას, დაფასებას და გარკვეულ ცოდნას.

თამაში ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა.

იყო ძალიან კარგად შერჩეული და მომზადებული შეკითხვები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას ყველა კითხვის ავტორის სურვილი იყო მოთამაშეებს გამოეცნო და სწორი პასუხები ჰქონოდა თითოეულ შეკითხვაზე, ალბათ ამის დიდი სურვილი ჰქონდათ მოთამაშეებს... თუმცა დარჩა პასუხგაუცემელი შეკითხვებიც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ კინოს ნამდვილად ესაჭიროება პოპულარიზაცია, რომ ახალგაზრდებმა მეტი დრო დაუთმონ მათ მოძიებას და ნახვას. ამის ხელმისაწვდომობა ნამდვილად არსებობს.

15 შეკითხვის შემდეგ გუნდებს შორის ქულები ასე გადანაწილდა 9 ქულით დაწინაურდა ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურის და ტურიზმის ცენტრი, 8 ქულა დააგროვა თერჯოლის №1 საჯარო სკოლის გუნდმა, 7 ქულა №49 საოლქო-საარჩევნო კომისიამ, 6-6 ქულა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ და ალისუბნის №2 საჯარო სკოლამ, ხოლო 5 ქულა დააგროვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდმა.

შესაბამისად ყველაზე მაღალი ქულათა რაოდენობით გამარჯვება მოიპოვა ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურის და ტურიზმის ცენტრის გუნდმა, რომლის კაპიტანს ქალბატონ ლალი ღვინეფაძეს, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმის დირექტორს გადაეცა გრან-პრი.

საუკეთესო შეკითხვის ავტორად მოთამაშეთა და მაყურებელთა გადაწყვეტილებით დასახელდა გიორგი ბარათაშვილი—მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც აგრეთვე გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი.

თამაშში მონაწილე თითოეულ გუნდს გადაეცა დიპლომი.

ამავე დროს თამაშის ორგანიზატორების მიერ დაგვიანებული საჩუქარი გადაეცა აზა მემანიშვილს, რომელიც წინა წლის თამაშზე დასახელდა საუკეთესო შეკითხვის ავტორად...

თამაში შეაჯამა და გამარჯვებულს მიულოცა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ნინო ოქრუაძემ, მან მადლობა გადაუხადა თითოეულ მონაწილეს, აგრეთვე მათ გულშემატკივრებს და ახალი წარმატებები უსურვა.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872